ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7211859

ნომერი: AR11051067

თარიღი : 01.08.2024

გაცემის თარიღი : 11.09.2024

გაცნობის თარიღი : 11.09.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის I შესახვევი, N 19; ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის I შესახვევი, N 7; ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის I შესახვევი, N 9; ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის I შესახვევი, N 11; ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის I შესახვევი, N 13; ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის I შესახვევი, N 15; ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის I შესახვევი, N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სულხან სულხანიშვილი პ/ნ 01012012952
- თბილისი ავთო ვარაზის ქ. 64 C ბლოკი ბინა 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ლისი, ავთო ვარაზის I შესახვევი, №19; ავთო ვარაზის I შესახვევი, №7–ში; ავთო ვარაზის I შესახვევი, №9; ავთო ვარაზის I შესახვევი, №11; ავთო ვარაზის I შესახვევი, №13; ავთო ვარაზის I შესახვევი, №15; ავთო ვარაზის I შესახვევი, №17; შპს "გრინლანდია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882021263045 16.04.2021 წ., საკადასტრო კოდი №72.16.33.027; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მინდობილობა, საკადასტრო გეგმა საპროექტო ღობის დატანით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 06.09.2024 წ. № 16-01242503604 წერილი, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 09.09.2024 წ. №MIA 5 24 02756356 წერილი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ლისი, ავთო ვარაზის I შესახვევი, №19; ავთო ვარაზის I შესახვევი, №7–ში; ავთო ვარაზის I შესახვევი, №9; ავთო ვარაზის I შესახვევი, №11; ავთო ვარაზის I შესახვევი, №13; ავთო ვარაზის I შესახვევი, №15; ავთო ვარაზის I შესახვევი, №17; შპს "გრინლანდია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: ღობე უნდა განთავსდეს №72.16.33.027 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში. ტერიტორიაზე შეასვლელი და ჭიშკარი მოეწყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული სქემის მიხედვით

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.